ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ადიგენის მუნიციპალიტეტი
GEORGIA
ADIGENI MUNICIPALITY BOARD

საქართველო. ადიგენი, თამარ მეფის ქ№5
5 TAMAR MEPHE STR. ADIGENI. GEORGIA

N 123/09
06/04/2015

123-09-2-201504061832

ააიპ ,,საქართველოს რეფორმების ასოციაციის" ვიცე
დირექტორს, ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
ბატონ: პაატა გაფრინდაშვილს

ბატონო პაატა!

თქვენი მ/წლის 25 მარტის №124 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ 2014 წლის 14 სექტემბერს მომხდარი სტიქიის დროს დაისეტყვა ადიგენის მუნიციპალიტეტის 9 სოფელი: ლელოვანი, ამხერი, სამყური, კახარეთი, იოჯარეთი, იმერთუბანი, ჩორჩანი, დიდი სმადა, პატარა სმადა. სტიქიის შედეგად მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 1057 000 (ერთი მილიონ ორმოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 იანვრის №88 განკარგულებით სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის საკვები პროდუქტების შესყიდვის მიზნით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 321 000 (სამასოცდაერთი ათასი) ლარი (განკარგულება თან ერთვის).

სტიქიით დაზარებულთათვის გამოყოფილი თანხა ჩამოირიცხა 2 ეტაპად:138600 ლარი 11 მარტს და 182400 ლარი 17 მარტს.

დაზარალებულებისათვის კომპენსაციის გაცემა კვების პროდუქტების სახით განისაზღვრა მთავრობის მიერ. კომპენსაცია გაიცა 9 სოფელში მცხოვრებ 585 ოჯახზე. ზარალის დამდგენი კომისიის მიერ დადგინდა იმ ოჯახების რაოდენობა და ზარალი, რომლებიც მოხვდნენ სტიქიის ზონაში. განაწილება მოხდა მიყენებული ზარალის დაახლოებით 1/3-ის ფარგლებში.

დაზარალებულ ოჯახებზე გასაცემი კვების პროდუქტების შესყიდვა განხორციელდა გამარტივებული წესით ხელშეკრულების საფუძველზე, რადგან ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედება არ ვრცელდება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხებზე, რაც წერილობით დაგვიდასტურა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ (25.02.2015 წლის №950 წერილი).

მიმწოდებლის შერჩევის მიზნით მოწვეულ იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომუშავე 6 სუბიექტი: შ.პ.ს ,,თორნიკე"; შ.პ.ს ,,ემპა კომპანი"; ინდ. მეწარმე ,,იოსებ გოგატიშვილი"; ინდ. მეწრამე ,,ზურაბ ზედგინიძე"; ინდ. მეწარმე ,,ზაზა გიგოლაშვილი„; ინდ. მეწარმე ,,გია ტეფნაძე". ელ ფოსტის საშუალებით ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა შ.პ.ს ,,სამეგრელო ინტერნეიშელმა", რომელიც ასევე იქნა მოწვეული შერჩევაში მონაწილეობის მისაღებად. საბოლოოდ ფასები წარმოადგინა ინდ. მეწარმე ,,იოსებ გოგატიშვილმა", შ.პ.ს ,,სამეგრელო ინტერნეიშელმა" (წინადადება

წარმოადგინა მხოლოდ ლობიოს მოწოდებაზე) და ინდ. მეწარმე ,,გიორგი ტეფნაძემ", ამ უკანასკნელმა ბოლო მომენტში ლარის კურსის მკვეთრი ვარდნის საბაბით უარი განაცხადა პროცედურაში მონაწილეობაზე.

გამგეობის ძირითადი მოთხოვნა მდგომარეობდა შემდეგში: რომ არ გაწელილიყო პროდუქტების დარიგების პროცესი, ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო მხოლოდ ერთ მიმწოდებელზე. ამის გათვალისწინებით მიმწოდებლად შეირჩა ინდ. მეწარმე ,,იოსებ გოგატიშვილი„ რომელთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება (26 თებერვალი 2015 წელი) 320 998,5 ლარზე. (ხელშეკრულება თან ერთვის).

მიმწოდებელმა ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა პირნათლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების სრული დაცვით, მოწოდებული საქონლის ღირებულების გადარიცხვა განხორციელდა ორ ეტაპად: მ/წლის 12 მარტს 138532.50 ლარი და 18 მარტს 182466 ლარი.

9 მარტისათვის მიწოდება დამთავრდა მთლიანად. მოწოდებული პროდუქცია იყო უმაღლესი ხარისხის და აკმაყოფილებდა სახელმწიფო სტანდარტებს. მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის რაიმე პრეტენზიას ადგილი არ ჰქონია.

პროდუქტების დარიგებას აწარმოებდა გამგეობიდან გამოყოფილი პასუხისმგებელი მუშაკები შესაბამის ტერიტორიულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლების მონაწილეობით, დარიგების პროცესი მთლიანად დასრულდა 2015 წლის 16 მარტს.

დაზარალებულ მოსახლეობაზე გასაცემი პროდუქტების შესყიდვა განხორციელდა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასების ცხრილის მიხედვით (თან ერთვის).

პატივისცემით,

ზაქარია ენდელაძე

მუნიციპალიტეტის გამგებელი

საქართველოს მთავრობის განკარგულება

№88 2015 წლის 29 იანვარი ქ. თბილისი

ადიგენის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

2014 წლის სექტემბერში მომხდარი სტიქიით დაზარალებული მოსახლეობის ზამთრისათვის საკვები პროდუქტებით მომარაგების მიზნით, (ზამთრის პერიოდში), საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, ადიგენის მუნიციპალიტეტს გამოუყოს 321 000 (სამას ოცდაერთი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

2015 წლის 26 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების დანართი №1
ფასების ცხრილი

№	დასახელება	ძირითადი მახასიათებელი	მწარმოებელი ქვეყანა	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ფასი	საერთო ფასი (ლარი)	მიწოდების ვადა	შენიშვნა
1	ფქვილი	I ხარისხის, პურის საცხობლადვარგისი, 50 კგ ტომარაში დაფასოებით		ტომარა	3291	41	134931	2015 წლის 9 მარტის ჩათვლით	
2	ვერმიშელი და მაკარონი	უმაღლესი ხარისხის, ხორბლის ფქვილისგან დამზადებული, 5 კგ პოლიეთილენის პარკებში დაფასოებული ქარხნული წესით ვარგისიანობისა და ხარისხის მითითებით		კგ	31690	1,5	47535		
3	შაქარი	უმაღლესი ხარისხის, 50 კგ-იან ტომრებში დაფასოებული, ქარხნული, ვარგისიანობის ვადის მითითებით		კგ	32990	1,5	49485		
4	ლობიო	მაღალი ხარისხის, დარჩეული, სხვა მინარევების გარეშე (მიწა, ქვიშა) გარეშე, 25 კგ ტომრებით დაფასოებული		კგ	12345	3,5	43207,5		
5	ზეთი	მცენარეული, რაფინირებული, უმაღლესი ხარისხის, ქარხნული, 300 ლიტრი 1 ლიტრიან ბოთლებში, ხოლო 1499 ლიტრი 5 ლიტრიან ბოთლებში დაფასოებული		ლ	15280	3	45840		
		სულ ჯამი:			95596		320998,5		

ინდ. მეწარმე: /ი. გოგატიშვილი/

ხელშეკრულება №2

ადიგენი

26 თებერვალი 2015 წელი

1. ერთის მხრივ ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგეობა (მის.: დ. ადიგენის თამარ მეფის ქ.№5, ს/ა GE24NB0330100200165022, ს/კ 222729162, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზაქარია ენდელაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ, ინდ. მეწარმე „იოსებ გოგატიშვილი" (მის: დაბა ადიგენი, სოფელი ჩორჩანი, ს/კ 03001001135, ს/ა GE66TP0036010020013988, სს „პრივატ ბანკი" ბანკის კოდი CAOGE22) წარმოდგენილი იოსებ გოგატიშვილის სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1. ხელშეკრულების ობიექტია ადიგენის მუნიციპალიტეტისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ 2015 წლის 29 იანვრის №88 განკარგულებით ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლებში 2014 წლის სექტემბრის თვეში მოსული სეტყვის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის გადასაცემი კვების პროდუქტების შესყიდვა დანდარათული ფასების ცხრილის შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 320 998 (სამასოცდათასცხრაასოთხმოცდაოთხამეტი) ლარს 50 თეთრს;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1. საქონლის მიწოდების ბოლო ვადაა 2015 წლის 9 მარტის ჩათვლით;

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფლები თანდართული უწყისის შესაბამისად.

4.3 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემოტანილი პროდუქტების ტრანსპორტირება და დაცლა საკუთარი ხარჯებით და დარიგების პროცესში მონაწილეობა.

5. საქონლის მიღება ჩაბარების წესი

5.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს სათანადოდ უფლებამოსილი პირი.

5.3. საქონელი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიწოდებული საქონლის რაოდენობისა და ღირებულების მითითებით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.4. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს საქონელი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

5.5. თუ საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად, ან მის გარეშე, ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შედეგები, დაწუნებული საქონლის რაოდენობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნული ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.3. მუხლით განსაზღვრული წესით შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად შევსებული სასაქონლო ზედდებულის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მოუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. გარანტია

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ხარისხიანი და შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტებს.

7.2 მიმწოდებელი პასუხს აგებს კანონის შესაბამისად მიწოდებული პროდუქციის ხარისხზე. პროდუქციას თან უნდა ახლდეს ხარისხის დამადასტურებელი სერთიფიკატი და არ უნდა შეიცავდეს ადამიანის ორგანიზმისათვის საშიშ დანამატებს. მიწოდებული პროდუქციის ტექნიკური მახასიათებლები უნდა წარმოადგინოს დანართი №1-2 შესაბამისად.

7.4. 7.3. პუნქტში აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს საქონელი ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2.ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სპეციალურად ამ მიზნით შექმნილი კომისია და შესაბამისი ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლები;

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

9.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით;

9.3 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი)%-ს „შემსყიდველი" იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ)საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

ხელშეკრულების 11.1 მუხლში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებელს უნაზღაუროს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

11.4. შემსყიდველი ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით აცნობოს მიმწოდებელს 11.1.მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

12.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული „შემსყიდველისა" ან „მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3. ფორს-მაჟორი გარეიმოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

14.2. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.

14.3. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას დაზიანების ან გაფუჭებისაგან ფასებისა და მიწოდების ვადების შესახებ ინფორმაციაში მითითებულ დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

14.4. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.5. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14.6. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილი დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14.7. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ბოლო წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

14.8. ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 აპრლის ჩათვლით

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ადიგენის მუნიციპალიტეტი
დ. ადიგენი, თამარ მეფის ქ№5;
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22;
ა/ა GE24NB0330100200165022, ს/კ 222729162;

მუნიციპალიტეტის გამგებელი: ზ. ენდელაძე

„მიმწოდებელი"

ინდ. მეწარმე „იოსებ გოგატიშვილი"
დ. ადიგენი, თამარ მეფის ქ.№7;
სს „პრივატ ბანკი" ბანკის კოდი CAOGE22;
03001001135, ა/ა GE66TP0036010020013988;

ინდ. მეწარმე: ი. გოგატიშვილი

2015 წლის 26 თებერვალს გაფორმებული ხელშეკრულების დანართი №2

სოფლის დასახელება	ფქვილი		ვერმიშელი და მაკარონი		შაქარი		ზეთი		ლობიო		შენიშვნა
	განზ. ერთ.	რაოდ.	განზ. ერთ.	რაოდ.	განზ. ერთ.	რაოდ.	განზ. ერთ.	რაოდ.	განზ. ერთ.	რაოდ.	
ლეკლოვანი	ტომარა	784	კგ	7625	კგ	7736	ლიტრი	3644	კგ	2922	
ამხერი	ტომარა	63	კგ	605	კგ	670	ლიტრი	271	კგ	235	
საბყური	ტომარა	251	კგ	2280	კგ	2380	ლიტრი	1090	კგ	909	
ჯახარეთი	ტომარა	653	კგ	6327	კგ	6520	ლიტრი	3035	კგ	2462	
იჯარეთი	ტომარა	497	კგ	4876	კგ	5030	ლიტრი	2420	კგ	1929	
იმერთუბანი	ტომარა	316	კგ	3052	კგ	3160	ლიტრი	1475	კგ	1197	
ჩორჩანი	ტომარა	160	კგ	1540	კგ	1653	ლიტრი	735	კგ	577	
დიდი სმადა	ტომარა	415	კგ	4010	კგ	4279	ლიტრი	1955	კგ	1569	
პატარა სმადა	ტომარა	152	კგ	1375	კგ	1562	ლიტრი	655	კგ	545	
სულ ჯამი:		**3291**		**31690**		**32990**		**15280**		**12345**	

ინდ. მეწარმე: /ი. გოგატიშვილი/